

**სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და  
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი**

**2011-2012 წლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების  
პროგრამა**

**2011 წელი  
თბილისი**

## შინაარსი

პრიორიტეტი #1: თავდაცვა, შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება  
თავი I – საბაზო დაფინანსებით შესასრულებული სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

პრიორიტეტი #2: ნაციონალური უსაფრთხოება, ახალი მასალების დამუშავება, ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება

თავი I. – საბაზო დაფინანსებით შესასრულებული სამოქალაქო /მეტალურგიული და მასალათმცოდნეობის პროფილის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

1. ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება უსხმულო გლიცერინის მეთოდით
2. სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების ელექტროთერმული წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება
3. საქართველოს მსხვილ საწარმოთა ობიექტებზე, ზღვის და გეოთერმალურ წყლებში და ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში მომუშავე ლითონ-კონსტრუქციების კოროზიული მდგომარეობის შესწავლა და დაცვის სათანადო რეკომენდაციების დამუშავება (2011 წლის ეტაპი – თბილისის ტერიტორიის გრუნტის კოროზიული აგრესიულობის შესწავლა, დაცვის მეთოდებისა და დამცავი საშუალებების დადგენა)
4. ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული საკონსტრუქციო და ცვეთამედეგი დანიშნულების ფოლადების შემუშავება
5. კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე ახალი მაღალეფების ლითონერამიკული მასალების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება
6. ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნებიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის და ოქროს მიღების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიური სქემების დამუშავება
7. ქლორიდული კაზმიდან ნიკელის ფუძეზე დისპერსიულად განმტკიცებული კომპოზიციური ფსენილების მიღება მხურვალ დაცვეთამედეგი დანაფარებისათვის
8. მაღნეულის სულფიდური მაღნებიდან და საწარმოო ნარჩენებიდან ოქროს გამოტუტვა მიკრობიოლოგიური მეთოდით
9. ფეროშენადნობთა წარმოების ოქსიდური ნარჩენებისაგან განგანუმშემცველი კონგლომერატის მიღების მაღალმწარმოებლური ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დამუშავება

## პრიორიტეტი #2: ნაციონალური უსაფრთხოება, ახალი მასალების დამუშავება, ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება

თავი I. საბაზო დაფინანსებით შესასრულებელი სამოქალაქო მეტალურგიული და მასალათმცოდნების პროფილის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

1. ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება უსხმულო გლინგის მეთოდით

### პრობლემის აღწერა:

დღეისათვის არსებული ლითონური ფურცლების მიღების ტექნოლოგიური სქემა დაფუძნებულია გლინგის თეორიის კლასიკურ მეთოდებზე, რაც ერთჯერადად დასაშვები მაქსიმალური მოჭიმვების გათვალისწინებით მოითხოვს საგლინავი ნამზადის (სხმულის) საფეხუროვან გლინვას, კერძოდ იმისათვის რომ მივიღოთ  $2\div10\text{mm}$  სისქის ფურცლელი საწყისი სხმული  $5\div6\text{-ჯერ}$  მაინც უნდა გაცხელდეს  $1200^{\circ}\text{C}$ -მდე და თითოეულ ეტაპზე  $20\div30\%-ით$  მოიჭიმოს. ეს ყოველ ეტაპზე თავისთავად იწვევს ლითონის დიდ დანაკარგებს ხენჯის სახით. ამასთან თითოეულ ეტაპზე ძვირადღირებული საგლინავი დანადგარებისა და გამახურებელი ღუმელების აუცილებლობას, შესაბამისად მათ სამუშაო ფართით უზრუნველყოფას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგლინავი პირველადი ნამზადის მიღების ხარჯებიც საბოლოო პროდუქტის (ფურცლების) თვითდირებულებაში შედის და ზრდის მას, სავსებით გახდება, თუ რატომ დადგა მთელ მსოფლიოში დღის წესრიგში ასე მწვავედ “უსხმულო გლინგის” პროცესის ათვისების აუცილებლობის საკითხი.

აღნიშნული გარემოებათა გათვალისწინებით ნათელია “უსხმულო გლინგის” მეთოდის ათვისების აქტუალობა.

### პროექტის მიზანი:

ინსტიტუტი შექმნილი პროექტის მიხედვით დამზადებულ ლითონური ფურცლების მიღების საცდელ დანადგარზე ფოლადის ფურცლების “უსხმულო გლინგის” მეთოდით მიღების ტექნოლოგიის შემუშავება-ათვისება.

### განხორციელების გზები:

ინსტიტუტი დამონტაჟდება საცდელი დანადგარი, რომელიც აღიჭურვება პროცესის მართვის და გამზომ-გადამწოდი სისტემებით.

შესრულდება ექსპერიმენტული სამუშაოების ფართო საქმე: შესწავლილი და განსაზღვრული იქნება ცალკეული კონკრეტული შემთხვევისათვის (ნამზადის სისქე და ქიმიური შედეგენილობა) ლითონის გამყარების კოეფიციენტები; კრისტალიზაციური თხიერი ლითონის დონის დასაშვები სიმაღლე; მაქსიმალური მოჭიმვის სიდიდე და ჩამოსხმის სიჩქარეების ოპტიმალური მნიშვნელობები.

განისაზღვრება თეორიულად მიღებული მონაცემების კორელაციის კოეფიციენტები, დაზუსტდება ტექნოლოგიური პროცესის რეალური პარამეტრები. შემუშავდება უსხმულო გლინგის მეთოდით ფოლადის ფურცლების მიღების ტექნოლოგია.

### მოსალოდნელი შედეგები:

შემუშავებული ტექნოლოგიით “უსხმულო გლინგის” ლაბორატორიულ დანადგარზე მიღებულ იქნება ლითონური ფურცლების საცდელი ნიმუშები.

უსხმულო გლინგის მეთოდის ათვისება  $6\div7\text{-ჯერ}$  შეამცირებს ენერგოენერგეტიკური სარჯეს,  $5\div6\%$  ლითონის დანაკარგებს. მკეთრად გაუმჯობესდება ეპლოგიური მაჩვენებლები,  $60\div70\%-ით$  შემცირდება ძვირადღირებული საგლინავი დგანების რაოდენობა, შესაბამისად მათი განლაგებისათვის საჭირო ფართი.

აღნიშნული ტექნოლოგია, შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული მსუბუქი სამხედრო ტექნიკის დასაცავად განკუთვნილი სპეციალური დანიშნულების ფოლადების (მაგალითად ჯავშანფოლადის) ფურცლების მიღებისათვის.

## 2. სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების ელექტროთერმული წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება

### პრობლემის აღწერა:

საქართველოში არსებული ქვანახშირის საბაზოების მიღამოებში წლობით დაგროვილია გამდიდრების მაღალანაცრიანი ნარჩენები; რუსთავსა და ტყიბულები – მყარ სათბობზე მომუშავე თბოლექტროსადგურების წიდანაცრული ნარჩენები; თბილისის საავიაციო ქარხნის სიახლოეს – მეორეული ალუმინის მაღალთიხამიწიანი წიდები. აღნიშნული ნარჩენები გარემომცველ ბუნებაზე არახელსაყრელ გავლენას ახდენენ. ამავდროულად ალუმინისა და სილიციუმის ოქსიდების მაღალი ჯამური შემცველობა დასახელებული მასალების მინერალურ ნაწილში, აგრეთვე ბუნებრივი აღმდგენელის არსებობა მათ აქცევს ფასეულ ნედლეულად ელექტროთერმიის გზით ალუმინისილიციუმიანი შენადნობების მისაღებად. საქართველოში ალუმინის დეფიციტის პირობებში ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამდენად, აღნიშნული ნარჩენების კომპლექსური გამოყენების ვარიანტების დამუშავება უფლადის წარმოებაში ფართოდ გამოყენებული ალუმინისილიციუმიანი შენადნობების მისაღებად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

### პროექტის მიზანი:

საქართველოში არსებულ საწარმოო ნარჩენებიდან სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების მიღების ელექტროთერმიული ტექნოლოგიის დამუშავება.

### განხორციელების გზები:

წარმოების ნარჩენების შემადგენლობების მკვეთრი განსხვავების გამო ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დადგინდება სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების დნობის ტექნოლოგიური პარამეტრები პროცესების თერმოდინამიკური მოდელირებისა და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე. ეს ხელს შეუწყობს აღდგენის პროცესის მიზანმიმართულ მართვას და დნობის შედეგების გაუმჯობესებას.

### მოსალოდნებლი შედეგები:

დამუშავდება ქვანახშირის გადამუშავების ნარჩენებიდან სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების მიღების ელექტროთერმიული ტექნოლოგია. მის ჩანერგვას წარმოებაში შეუძლია აღნიშნული ნარჩენები დააბრუნოს მეტალურგიულ გადამუშავების ციკლში საქმარისად მაღალი რენტაბელობის მქონე ნედლეულის სახით, რის ნაკლებობასაც დღეს უკვე მწვავედ განიცდის ჩვენი ქვეყნის ფეროშენადნობების მწარმოებელი მცირე საწარმოები. წინასწარი გაანგარიშებით ასეთი ტექნოლოგიით მიღებულ 1 ტონა შენადნობზე, სუვთა მოგება შეადგენს 200-250 აშშ. დოლარს.

**3. საქართველოს მსხვილ საწარმოთა ობიექტებზე, ზღვის და გეოთერმალურ წყლებში და ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში მომუშავე ლითონ-კონსტრუქციების კოროზიული მდგომარეობის შესწავლა და დაცვის სათანადო რეკომენდაციების დამუშავება (2011 წლის ეტაპი – თბილისის ტერიტორიის გრუნტის კოროზიული აგრესიულობის შესწავლა, დაცვის მეთოდებისა და დამცავი საშუალებების დადგენა)**

#### **პრობლემის აღწერა:**

მრავალი ლითონური კონსტრუქცია – ნაკორდ- და გაზსადენი, წყალმომარაგება, საკანალიზაციო ქსელი, ელექტრო- და კავშირგაბმულობის კაბელები, ავზები და ცისტერნები, მეტროპოლიტენის ტიუბინგები, შიშველი და ბეტონით დაფარული სიმინჯები და სხვა სამშენებლო კონსტრუქციები, ექსპლოატაციას განიცდიან მიწისქვეშა პირობებში. მიწისქვეშა ლითონკონსტრუქციების მრავალწლიანმა ექსპლოატაციამ გამოავლინა თბილისის ნიადაგების მაღალი კოროზიული აგრესიულობა, რასაც ადასტურებს სშირი ავარიული სიტუაციები წყალ- და გაზსადენზე, რკინის და რკინაბეტონის საყრდენი სიმინჯების მწყობრიდან გამოსვლა. ქალაქის ლითონკონსტრუქციებით გადატვირთულ უბნებზე ნიადაგების და გრუნტის კოროზიული აგრესიულობის შესწავლა, განსხვავებული ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლების მქონე უბნებისთვის ლითონის კოროზიისგან დაცვის შესაბამისი მეთოდების დამუშავება და დამცავი საშუალებების პარამეტრების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია.

#### **პროექტის მიზანი:**

თბილისის სხვადასხვა უბნებზე, მათ შორის სამხედრო ობიექტებზე, ნიადაგებში და მის ზედაპირზე განლაგებული არმატურის, რკინაბეტონის და მილგაყვანილობების კოროზიის მიზეზებისა და ხარისხის დადგენა; კოროზიისგან დაცვის რეკომენდაციების დამუშავება ლითონკონსტრუქციების საექსპლოატაციო ვალების გახანგრძლივების და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით.

#### **განხორციელების გზები:**

შესწავლილი იქნება: თბილისის ნიადაგების სტრუქტურული და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები – ჭრილში, სიღრმეზე და განივალ; ნიადაგებში განლაგებული ლითონკონსტრუქციების კოროზიული მდგომარეობა, კოროზიის სახეები და მათი გამომწვევი მიზეზები.

შემუშავდება ნიადაგებში არმატურის და მილგაყვანილობის კოროზიისგან დაცვის სათანადო მეთოდები.

#### **მოსალოდნებლი შედეგები:**

თბილისში არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების საძირკვლებში მილგაყვანილობის, ლითონური და რკინა-ბეტონის სიმინჯების საექსპლოატაციო ვალების გაზრდისათვის დამუშავდება კოროზიისგან დაცვის რეკომენდაციები.

#### **4. ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული საკონსტრუქციო და ცვეთამედეგი დანიშნულების ფოლადების შემუშავება**

##### **პრობლემის აღწერა:**

თანამედროვე ტექნიკა მკაცრ მოთხოვნებს უქნებს საკონსტრუქციო და სპეციალური თვისებების ფოლადებს. ტრადიციული მეტალურგიული მეთოდებით გაზრდილი საექსპლოატაციო თვისებების მქონე ფოლადების მიღება თითქმის ამოწურულია. ამავდროულად ცნობილია, რომ ნანოსტრუქტურირების უფასო მნიშვნელოვნად ზრდის ფოლადების სიმტკიცეს, სისალეს, პლასტიკურობას, ცვეთამედეგობას და ა.შ. ასეთი ფოლადები წარმატებულად შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც სამოქალაქო, ასევე თავდაცვით სფეროში. ამიტომ გაზრდილი საექსპლოატაციო თვისებების მქონე ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული ფოლადების მისაღებად ფოლადების ნანოსტრუქტურირების პროცესის შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

##### **პროექტის მიზანი:**

ნანოსტრუქტურირების კრიტერიუმების დადგენის საფუძველზე ეკონომიურად დაგირებული გაუმჯობესებული საექსპლოატაციო მახასიათებლების (მექანიკური თვისებები, კოროზიამედეგობა, ცვეთამედეგობა...) მქონე ნანოსტრუქტურული საკონსტრუქციო (ბეინიტური) და ცვეთამედეგი (მეტასტაბილურ-აუსტენიტური) შენადნობების შექმნის პრინციპების დაღვენა.

##### **განხორციელების გზები:**

შესწავლილი იქნება Si და N-ის გაზრდილი შემცველობის მქონე ბეინიტური და Cr-Mn-N მეტასტაბილურ-აუსტენიტური ფოლადები.

მაგნიტომეტრული, დილატომეტრული, რენტგენოსტრუქტურული, მეტალოგრაფიული ანალიზით, მექანიკური თვისებებისა და კოროზიამედეგობის გამოცდების მეთოდებით შესწავლილი იქნება საკვლევი ფოლადებში ფაზურ გარდაქმნებზე დაგირების და დეფორმაციულ-თერმული დამუშავებით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდება საკვლევი ფოლადების ნანოსტრუქტურირების ძირითადი პრინციპები.

დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საკონსტრუქციო (ბეინიტური) და ცვეთამედეგი (მეტასტაბილურ-აუსტენიტური) ფოლადებისათვის დამუშავდება ნანოსტრუქტურირების ტექნოლოგიური რეჟიმები.

##### **მოსალოდნელი შედეგები:**

დამუშავდება ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული საკონსტრუქციო და ცვეთამედეგი დანიშნულების ფოლადების მიღების ტექნოლოგია. მიღებული იქნება ნანოსტრუქტურირებული ფოლადებისაგან დამზადებული პილოტური ნიმუშები, რომლებიც გადაეცემა მოთხოვნილებისამებრ დაინტერესებულ ორგანიზაციებს გამოსაცდელად.

## 5. კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე ახალი მაღალეფექტური ლითონგერამიკული მასალების ტექნოლოგიების შემუშავება

### პრობლემის აღწერა:

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტენდენცია მოითხოვს ზემაღალი საექსპლოატაციო თვისებების მქონე მასალების შექმნას. რკინის ფუძეზე არსებული მასალები გარკვეულ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებენ მათზე წაყენებულ მოთხოვნებს. ისეთი მასალების მიღება, რომელთაც ერთდროულად გააჩნიათ მაღალი სისალე და სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, დინამიური დატვირთვებისადმი მაღალ მედეგობასთან ერთად, არსებული ტექნოლოგიებით რთულია და მოითხოვს დიდ ენერგეტიკულ დანახახარჯებს.

ენერგოდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით შესაძლებელია მივიღოთ უნიკალური თვისების მქონე მასალები კარბო ნიტრიდ ბორიდების ფუძეზე (სისალე (88-92 HRA), ცვეთამედეგობა ( $10 \div 15 \cdot 10^{-7} \text{მმ}^3 \cdot \text{ნ}^{-1} \cdot \text{გ}^{-1}$ ), სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე (3000-4000 მპა)). მიღებული მასალების გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო დანიშნულებით. მიღებულ მასალებს გარდა მაღალი საექსპლუატაციო თვისებებისა, ექნება დაბალი თვითდირებულება. ამ ტექნოლოგიის კიდევ ერთი უპირეტესობაა მასალის და ნაკეთობის ერთ პროცესში მიღების შესაძებლობა.

### პროექტის მიზანი:

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით არადეფიციტური, არალიმიტირებული ნედლეულიდან იაფი, მსუბუქი, წვრილდისპერსიული, საჭიროების შემთხვევაში გრადიენტული ლითონგერამიკული მასალების მიღება კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე.

### განხორციელების გზები:

- კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე მასალების შემაღენლობის შერჩევა და დადგენა;
- კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე მიღებული მასალების სინთეზის და კომპაქტირების ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა;
- კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე მიღებული მასალების მიკროსტრუქტურისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა;

### მოსალოდნელი შედეგები:

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით მიღებილი იქნება ახალი მრავალფუნქციური ლითონგერამიკული მასალები კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე. მათ ექნებათ მაღალი სისალე (88-92 HRA), ცვეთამედეგობა ( $10 \div 15 \cdot 10^{-7} \text{მმ}^3 \cdot \text{ნ}^{-1} \cdot \text{გ}^{-1}$ ), სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე (3000-4000 მპა) საკმარის დარტყმით სიბლანტესთან ერთად.

მიღებული მასალები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც სამოქალაქო დანიშნულებით: ადიდგის თვალაკების, საჭრისების, ტვიფრების (მაღალტემპერატურული სტაციური ტვიფრისათვის), ასევე შესაბამისი თვისებების მიღწევის შემთხვევაში გამოიცდება სამხედრო დანიშნულებითაც. კერძოდ, მაღალი სისალის-90HRA, და მაღალი ენერგიის (3760 ჯოული) მქონე ტყვიერისაგან ობიექტის დამცავი საჯავშნე ფილების დასამზადებლად.

შემუშავებული ლითონგერამიკული მასალებიდან დამზადებული იქნება ლითონგერამიკული ნაკეთობები (ადიდგის თვალაკები, საჭრისები, ტვიფრები მაღალტემპერატურული სტაციური ტვიფრისათვის) და საცდელი საჯავშნე ელემენტები. მიღებულ ნაკეთობებზე ჩატარდება შესაბამისი გამოცდები.

## **6. ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნებიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის და ოქროს მიღების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიური სქემების დამუშავება**

### **პრობლემის აღწერა**

ანთიმონიანი შენადნები ფართოდ გამოყენება ტექნიკაში: აკუმულატორის ფირფიტების, კაბელის გარსაცმის, ფურცლების, მიღების, ქიმიური აპარატურის დასამზადებლად. ნახევარგამტარებში ფართო გამოყენებას პოულობს ანთიმონის შენადნები ცინკთან, კალციუმთან, ალუმინთან, გალიუმთან, ინდიუმთან და სხვა. ანთიმონის სულფიდი ასანთის წარმოებაში, პიროტექნიკაში და სამხედრო მრეწველობაში გამოიყენება.

ოქროს ამოღების ციანიდური ტექნოლოგიის გამოყენება ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნების გადამუშავების შემთხვევაში მიუღებელია გარემოს ძლიერი დაბინძურების გამო. ამდენად ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის, ანთიმონის სულფიდის და ოქროს მიღების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიური სქემის შემუშავება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

### **პროექტის მიზანი:**

ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნების ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპლექსური გადამუშავების გზით ოქროს და თანმდევი პროდუქტების – ლითონური ანთიმონისა და ანთიმონის სულფიდის მიღების ტექნოლოგიური სქემის დამუშავება.

### **პროექტის განხორციელების გზები:**

- ზოფხიტოს მაღნებიდან სულფიდების მოცილება ვაკუუმთერმული დამუშავების გზით;
- ოქროთი გამდიდრებული კონცენტრატის მიღება;
- კონცენტრატიდან თიოშარდოვანას სხსარებით გამოტუტვისა და ელექტროჰიდრომეტალურგიული მეთოდებით ოქროს მიღება;
- მიღებული სულფიდებიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის მიღება.

### **მოსალოდნებლი შედეგები:**

დამუშავდება ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნების კომპლექსური გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ოქროს ამოღებასთან ერთად იძლევა ლითონური ანთიმონისა და ანთიმონის სულფიდის ამოღების საშუალებას.

დამუშავებული ტექნოლოგიით ოქროს ამოღება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდას, ხოლო მიღებული ანთიმონი შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამხედრო მრეწველობაში.

ოქროს ამოღების აღნიშნული არატრადიციული, უციანიდო მეთოდები, აგრეთვე თანმდევი მასალების ამოღების ტექნოლოგიურ პროცესებში ვაკუუმის გამოყენება იძლევა ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის და კერძოდ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის უნიკალური ბუნების შენარჩუნებისათვის.

## **7. ქლორიდული გაზმიდან ნიკელის ფუძეზე დისპერსიულად განმტკიცებული კომპოზიციური ფხვნილების მიღება მხერვალ და ცვეთამედეგი დანაფარებისათვის**

### **პრობლემის აღწერა:**

საექსპლუატაციო პარამეტრების გაზრდის მიზნით მასალათმცოდნეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მხერვალ- და ცვეთამედეგი მასალების შემდგომი სრულყოფა. ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისეთი ტექნოლოგიის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ულტრადისპერსიული (მათ შორის ნანოგანზომილების) კომპოზიციური მასალების მიღებას, რომლებიც მაღალი ცვეთა-, მხერვალმედეგობასა და აბრაზიულობასთან ერთად ინარჩუნებენ დარტყმითი სიბლანტისა და პლასტიკურობის დამაკმაყოფილებელ დონეს.

კომპოგენური ფხვნილოვანი შენადნობების და კომპოზიციური მასალების მიღების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა შესაბამისი ლითონების ქლორიდების და სხვა ნაერთების ერთობლივი წყალბად- ან მეტალოერმიული აღდგენა. ამ მეთოდის უპირატესობას განაპირობებს აღდგენის პროცესების შედარებით დაბალი ტემპერატურა, სწრაფი მიმდინარეობა, არასტანდარტული მოწყობილობის სიმარტივე, მინიმალური ენერგო და მატერიალური დანახარჯები და საწყის ნედლეულად იაფი, წარმოების ნარჩენებიდან მიღებული ლითონთა ქლორიდების გამოყენება.

### **პროექტის მიზანი:**

ქლორიდული კაზმის ალუმინოთერმიული აღდგენით ნიკელის ფუძეზე ალუმინის ოქსიდით განმტკიცებული კომპოზიციური ფხვნილოვანი მასალის, Ni – Co – Cr-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>, მიღების ტექნოლოგიის დამუშავება; ელექტრო ნაპერწკლური ლეგირებით ექსტრემალურ პირობებში მომუშავე დეტალების ზედაპირებზე დანაფარების მიღება და საცდელი ნიმუშების ზოგიერთი ექსპლუატაციური თვისებების კვლევა.

### **განხორციელების გზები:**

დამუშავდება ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებული იქნება ნიკელის და ქრომის ქლორიდებისა და კობალტის ოქსალატის ერთობლივ ალუმინოთერმიულ აღდგენაზე. შედეგად მიღებული იქნება ნანოგანზომილების ალუმინის ოქსიდით განმტკიცებული Ni – Co – Cr – Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> კომპოზიციური ფხვნილი. მიღებული ფხვნილების შემდგომი თერმული დამუშავებით შესაძლებელია ასევე ლითონური ფუძის განმტკიცება Ni<sub>3</sub>Al ნანოკრისტალური გამონაყოფითაც.

მიღებული კომპოზიციური ფხვნილებიდან დამზადდება კომპაქტური ელექტროდები ნაკეთობათა ზედაპირების ელექტრო-ნაპერწკლური ლეგირებისათვის; განხორციელდება მაღალი ტემპერატურის და ინტენსიური ხახუნის პირობებში მომუშავე საცდელი დეტალების ზედაპირების დაფარვები.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

ქლორიდული კაზმიდან ნიკელის ფუძეზე დისპერსიულად განმტკიცებული კომპოზიციური ფხვნილები მხერვალ - და ცვეთამედეგი დანაფარებისათვის გამოყენებული იქნება შერჩეულ სამსეფრო დანიშნულების მანქანა-მექანიზმების ნაწილების და დეტალების (მცირე და საშუალო ზომის) ზედაპირების განმტკიცება-ლეგირებასათვის.

## **8. მადნეულის სულფიდური მადნებიდან და საწარმოო ნარჩენებიდან ოქროს გამოტუტვა მიკრობიოლოგიური მეთოდით**

### **პრობლემის აღწერა:**

საქართველოს ოქროს შემცველი მადნეულის საბადოების დარიბი ბალანსირებული მადნებისა და წარმოების ნარჩენების (რომელთა რაოდენობა მილიონობით ტონას შეადგენს და ანაგვიანებს გარემოს) პელავ წარმოებაში ჩართვა და მისგან ღირებული პროდუქციის მიღება მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს. ცნობილია ოქროს გამოტუტვის გრავიტაციული და ფლოტაციური მეთოდები. აღნიშნული მეთოდებით ოქრო მადნიდან თავისუფლდება მარცვლების ან არგენტინის სახით, ხოლო მინერალებში ჩაწინაშე მნიშვნელი მნიშვნელი სნადი თავის რჩება მადანში ან სხვა მინერალებთან ერთად გადადის კონცენტრატებში სულფიდური სპილენზის ან ტყვიის სულფიდის სახით. ასეთი სახის ოქროს ამოღების არსებული ტექნოლოგიები რთულია და პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელია.

### **პროექტის მიზანი:**

მადნეულის სულფიდური მადნებიდან და საწარმოო ნარჩენებიდან ოქროს გამოტუტვის მიკრობიოლოგიური მეთოდის დამუშავება.

### **განხორციელების გზები:**

დამუშავდება ტექნოლოგიური სქემა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მეთოდით ოქროს გამოტუტვას მაქსიმალურად შესაძლო მაჩვენებლით (95-97%);

ტექნოლოგიური სქემის შედეგების დროს გათვალისწინებული იქნება მადანში არსებული ოქროს ბუნება, მადნის ნაჭროვანება, ნივთიერი შედგენილობა, ოქროსთან ასოცირებული მინერალების სახიათი და სასარგებლო კომპონენტების შემადგენილობა.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

შესაძლებელი გახდება ამჟამად არსებული გამოუყენებადი ოქროს შემცველი სულფიდური მადნებისა და ოქროს შემცველი საწარმოო ნარჩენების კვლავწარმოებაში ჩართვა, რაც გაზრდის ოქროს შემცველ სანედლეულო ბაზას საქართველოში.

## **8. ფეროშენადნობთა წარმოების ოქსიდური ნარჩენებისაგან მანგანუმშემცველი კონგლომერატის მიღების მაღალმწარმოებლური ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დამუშავება**

### **პრობლემის აღწერა:**

ფეროშენადნობთა წარმოებაში მრავალი ათწლეულის მანძილზე დაგროვილი მიღიონობით ტონა საწარმო ნარჩენების კვლავწარმოებაში დაბრუნება, რასაც ამჟამად კიდევ ემატება მიღინარე წარმოების მიერ გამოყოფილი ნარჩენები, მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, როგორც ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების თვლისაზრისით. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის (ამჟამად შპს “ჯორჯიან მანგანები”) მონაცემებით, ყოველწლიურად აქ გამოიყოფა და ლია ატმოსფერულ პირობებში საწყობდება 11-15 ათ. ტონა მანგანუმშემცველი მტვერი (Mn 20-24%) და 350-400 ათ. ტ. წილა (Mn 14-20%), ტონაში 1 %-ის საშუალო ლირებულებით 5 \$. რაც აისახება პროდუქციის თვითდირებულების გაზრდასა და გარემოზე მავნე ზემოქმედებაში.

### **პროგექტის მიზანი:**

სამუშაოს მიზანია ისეთი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ფეროშენადნობთა საღნობი ელექტრორკალური ღუმელებიდან გამონაბოლქვი მანგანუმშემცველი მტვერის (Mn 20-24%) და მისი ლია ატმოსფერულ პირობებში დასაწყობებით მიღებული შლამის დანაჭროვნებას (დაბრიკეტებას) აღმდგენელთან (კოქსი) ერთად, და მის თერმულ დამუშავებას (დეპირატაცია - ნაწილობრივ აღდგენას) ფეროშენადნობთა წარმოების თანმყოლი მაღალტემპერატურულ თხევადი წილებში (Mn 14-20%) დიფუნდირებით.

### **განხორციელების გზები:**

სამუშაოს ლაბორატორიულ პირობებში განხორციელებისათვის აუცილებელი იქნება: მანგანუმშემცველი ბრიკეტის წნებფორმის დამზადება, მანგანუმ და ნახშირბადშემცველი მასალის შემრევი შნეკის დამზადება, მიღებული ნარევის დაბრიკეტება ინსტიტუტში არსებული პიდრავლიკური წნების გამოყენებით, 100-200 კვა სიმძლავრის ელექტროდუმელის აწყობა, მასში წილების გადნობა და ღუმელიდან გამოშვებულ თხევად წილაში ბრიკეტის გრავიტაციული მიწოდების მექანიზმის გამართვა. აუცილებელი იქნება ქიმიური ანალიზის წარმოება, როგორც საწყისი მასალების, ასევე მიღებული კონგლომერატისათვის.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

განხორციელდება მანგანუმშემცველი მტვერისა და შლამისაგან აქტივიზირებული მფარი საკაზმე კომპონენტის – ბრიკეტის ფორმირება ფეროშენადნობთა წარმოების თანმყოლ წილაში, რაც შედარებით დარიბი წილის მანგანუმით გამდიდრების გამო განაპირობებს ახალი საკაზმე ნედლეულის, – მანგანუმშემცველი კონგლომერატის (Mn 30%) მიღებას. მიღებული პროდუქტი ექვემდებარება უშუალო რეციკლირებას მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოებაში.

აღნიშნული პროდუქტის გამოყენების შედეგად მოხდება, როგორც პროდუქციის (სილიკონმანგანუმის) თვითდირებულების შემცირება, ასევე მოიკლებს ლია პირობებში დასაწყობებული სამრეწველო ნარჩენების რაოდენობა და გარემოზე მათი მავნე ზემოქმედება.

**პროექტის განხილულია და მიღებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე**